**უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

03/08/2026

MES 2 26 0001009397

გადაწყვეტილება

შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში (2025 წლის 30 დეკემბრის №00005852 წერილი, ცენტრში რეგისტრაციის №1861307, 30/12/2025) ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32^7 მუხლი ს მე - 2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, 90-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 91-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტს (ს/კ: 404535810) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1400 - ით, მათ შორის, "მედიცინის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 1000 - ით.
2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 3 აგვისტოს.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 3 აგვისტოს №1009319 სხდომის ოქმის მე - 4 ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს აღმოსავლეთ - დასავლეთ უნივერსიტეტის შესახებ, ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი
შაკიაშვილი ეკატერინე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო